

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

"თიბისი" ბანკსა და "ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან" დაკავშირებულ პირებზე შესაძლო ზეწოლის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის თაობაზე

მიმდინარე წლის 4 მარტს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, "თიბისი" ბანკის დამფუძნებელმა და "ანაკლიის განვითარების კონსორციუმის" თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ 2018 წლის ივნისიდან მოყოლებული, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა მხრიდან (ეროვნული ბანკი, პროკურატურა, ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ფინანსთა სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო) მიმდინარეობს ორკესტრირებული შეტევა "თიბისი" ბანკზე.

მამუკა ხაზარაძემ საჯაროდ ისაუბრა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მხრიდან ჩადენილი კანონდარღვევების თაობაზე, მათ შორის:

-) მუქარა და ზეწოლა შს მინისტრის, გიორგი გახარიას მხრიდან;
-) შანტაჟი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის და მისი მოადგილის მხრიდან;
-) რეპუტაციული ზიანის მიყენება პროკურატურის მხრიდან არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაციით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმით.

ამასთან, კომიტეტის სხდომაზე წამოიჭრა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ასევე საჭიროებენ პარლამენტის მხრიდან დეტალურ გამოკვლევასა და რეაგირებას, კერძოდ:

-) ვინ დგას "თიბისი" ბანკის მიმართ განხორციელებული ორკესტრირებული შეტევის უკან;
-) ხომ არ უკავშირდება მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეზე ზეწოლა ანაკლიის პორტის მშენებლობას;
-) ვინ არის "თიბისი" ბანკის კომპიუტერულ სისტემაში შეღწევის ორგანიზატორი და რატომ ჭიანურდება ამ საქმის გამოძიება;
-) ვინ დგას სოციალურ მედიაში ხელისუფლების მხარდამჭერი გვერდების მეშვეობით განხორციელებული საინფორმაციო შეტევის უკან.

საზოგადოებამ და პარლამენტის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ,

რომლებიც საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, აგრეთვე პარლამენტის რეგლამენტის 61-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეიქმნას "თიბისი" ბანკსა და "ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან" დაკავშირებულ პირებზე შესაძლო ზეწოლის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. წინამდებარე დადგენილებაში მითითებული სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით შეიქმნას საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია.

2. დროებითი საგამომიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 3 თვე.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე